ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 120

ქალაქი ქუთაისი 28 სექტემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართის – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №197 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ.	სარეგისტრა-ციო ნომერი	საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
197	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგე-ბობით	ქალაქი ქუთაისი, ბარათაშვი-ლის ქუჩა №101	შენობა – ნაგებობა ფართი №1 – 1659,76 კვ.მ. და დამხმარე ნაგე-ბობა 37,32 კვ.მ. მიწა – 2849 კვ.მ. თანა-საკუთრება	03.04.22.028	1 099 000.00	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო 217

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ერაკლი შენგელია